საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 542 2017 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

„დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/11/2014, 470230000.10.003.018244) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) მოტივაციების მექანიზმის შექმნა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სისტემაში მონაწილეობისათვის.“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მაღალი შეფასების მქონე მაძიებელთა ფინანსური მხარდაჭერა.“.

3. მე-4 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მაღალი შეფასების მქონე მაძიებელთა ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის თანახმად:

ა) ის მაძიებლები, რომლებიც ჩააბარებენ ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდას პროფილით – „მედიცინა“, მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას ერთჯერადი გასაცემლის სახით. ერთჯერადი გასაცემლის ოდენობა განისაზღვრება 1 წლის (11 თვე) სწავლების ღირებულების მაქსიმალური ოდენობით (2 200 (ორი ათას ორასი) ლარი). ამასთან, ერთჯერად გასაცემელს მიიღებს რეიტინგული სიის ყველაზე მაღალი შედეგის მქონე არა უმეტეს 10 მაძიებელი;

ბ) მაძიებლები ფინანსურ მხარდაჭერას ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებენ ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით.“.

4. მე-5 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მაღალი შეფასების მქონე მაძიებელთა ფინანსური მხარდაჭერა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

ა) მაძიებლები ამ კომპონენტით გათვალისწინებულ ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ ერთჯერადი გასაცემლის სახით, შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ამ პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებიდან. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება ერთ მაძიებელზე 2 200 (ორი ათას ორასი) ლარით;

ბ) შერჩეული მაძიებლების ნუსხა, რომლებიც მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას (ერთჯერადი გასაცემლის სახით), მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის საფუძველზეც სამინისტრო უზრუნველყოფს მაძიებლის პირად ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადარიცხვას.“.

5. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მოტივირებული ახალგაზრდების ჩართვა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი